ხარაგაული 20/01/2015

# სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
# ხელშეკრულება №2

ერთის მხრივ ხარაგაულის ა.(ა)ი.პ ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორი ნიკოლოზ მაჭავარიანის სახით (შემდგომში შემსყიდველი)და მეორეს მხრივ შ.პ.ს „ბიბლუსი“ (შემდგომში მიმწოდებელი) ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია ხარაგაულის ა.(ა)ი.პ ცენტრალური ბიბლიოთეკის სახსრებით საკანცელარიო საქონლისა და წიგნების შეძენა.

## 2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვროს ლარებში.

2.2 შესყიდვის ღირებულებაა 270.25 (ორასსამოცდაათი ლარი 25 თეთრი) ლარი.

## 3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

3.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

## 4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვროს 2015 წლის 20 იანვრიდან 2015 წლის 20 თებერვლის ჩათვლით.

## 5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით და სასაქონლო ზედნადებით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

## 6. ანგარიშსწორების ფორმა

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

6.2 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

*7. მხარეთა უფლება მოვალეობანი*

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

ბ) საქონლის მიწოდების დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

ბ) უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

ბ) ხელშეკრულება დაწერილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, თითო ეგზემპლარი ინახება მხარეებთან და ორივეს თანაბარი ძალა აქვს.

*8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა*

8.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2015 წლის 20 თებერვლის ჩათვლით.

| | |
|---|---|
| შემსყიდველი: | მიმწოდებელი: |
| ა.(ა)იპ ხარაგაულის ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორი ნიკოლოზ მაჭავარიანი | შპს „ბიბლუსი" |
| (პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა) | (პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა) |
| „ლიბერთი ბანკის" ხარაგაულის ფილიალი | სს „საქართველოს ბანკი" ზესტაფონის ფილიალი |
| კოდი: LBRTGE22 | ბ.კ.BAGAGE22 |
| ა/ნ № GE31LB0115130947159000 | აა/ნ №GE46BG0000000274024400 |
| ს/კოდი:243573389 | ს/კოდი: 205254892 |
| მის. დ. ხარაგაული, 9აპრილის ქ.№8 | მის. ქ.ზესტაფონი ალმაშენებლის ქ. №87 |